ეთიკის კომისიის
ზეპირი

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 10.05.2016
შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 009/16

შეკითხვა:

ადვოკატის მიერ დასმული შეკითხვა ეხებოდა მის წინააღმდეგ შემოსული საჩივრის საფუძველზე, ეთიკის კომისიაში მიმდინარე საქმეს.

ანალიზი:

ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 45-ე მუხლის მე-9 პუნქტის მიხედვით, „ეთიკის კომისია, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, უფლებამოსილია უარი თქვას რეგისტრირებული შეკითხვის განხილვაზე, თუ მოთხოვნილი რეკომენდაცია ეხება კომისიის დისციპლინურ სამართალწარმოებაში არსებულ საქმეს“. მოცემულ შემთხვევაში, შეკითხვის შინაარსი ეხებოდა ეთიკის კომისიაში მიმდინარე საქმეს, შესაბამისად, ადვოკატს უარი ეთქვა რეკომენდაციის მიღებაზე.

დასკვნა:

ეთიკის კომისიას აქვს უფლებამოსილება უარი თქვას რეკომენდაციის გაცემაზე, იმ შემთხვევაში, თუ სახეზეა ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 45-ე მუხლის მე-9 პუნქტის შემთხვევა.

რეკომენდაცია არ არის სავალდებულო ეთიკის კომისიის ან სასამართლოს მიერ საქმის განხილვის ეტაპზე, თუმცა შესაძლებელია გამოყენებული იქნეს ერთ-ერთ წყაროდ ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებაში.